

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია **მწკანე ალტერნატივას** მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასატრეული საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

როგორ სრულდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი: მარტივი გადაცდომები, თუ კანონის უხეში დარღვევები?

2019 წლის 4 სექტემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) თელავის მუნიციპალიტეტში, შპს „აბს“ მიერ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშახრემის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებით, სკრინინგის ანგარიშზე შენიშვნებისა და მოსაზრებები წარდგენის ვადად საზოგადოებას 2019 წლის 16 სექტემბერი დაუდგინდა.

2019 წლის 11 სექტემბერს სამინისტრომ განმცხადებელს სკრინინგის ანგარიშის არასრულყოფილების გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, მოთხოვა დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარდგენა. 2019 წლის 27 სექტემბერს, შპს „აბმ“ სამინისტროში წარადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, ხოლო 2019 წლის 30 სექტემბერს სამინისტრომ გამოაცხადა ამის შესახებ და საზოგადოებას 9 ოქტომბრამდე მისცა კომენტარების შესაძლებლობა.

ზემოაღწერილ, ამ თითქოსდა მარტივ, ადმინისტრაციულ პროცესში სამინისტრომ კანონის ათამდე მოთხოვნა დაარღვია, კერძოდ:

1. სამინისტრომ განმცხადებელს არ განუსაზღვრა ვადა, რომლის განმავლობაშიც სკრინინგის ავტორს უნდა წარედგინა დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია (მიუხედავად იმისა, რომ ამას ითხოვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი).
2. სამინისტრომ არ შეატყობინა დაინტერესებულ საზოგადოებას იმის შესახებ, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტაცია არასრულია და მასზე კომენტარება უსარგებლოა; სამინისტრომ არ შეატყობინა საზოგადოებას, რომ გადაწყვეტილების მისაღებად მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება შეჩერებულია, მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის წარდგენამდე.
3. სამინისტრომ მხოლოდ 2019 წლის 30 სექტემბერს (როცა დაინტერესებულ საზოგადოებას პროცესი უკვე დიდი ხნის დამთავრებული ეგონა, პირველი განცხადების შინაარსიდან გამომდინარე), ყოველგვარი განმარტების გარეშე, გამოაქვეყნა [განცხადება](#) იმის შესახებ, რომ 2019 წლის 27 სექტემბერს, შპს „აბმ“ სამინისტროში დამატებით წარადგინა

დოკუმენტაცია პროექტთან დაკავშირებით და საზოგადოებას 9 ოქტომბრამდე შეეძლო კომენტარების წარდგენა.

4. სამინისტრომ ერთ დღეს (11 სექტემბერს) გაუგზავნა წერილები თელავის მუნიციპალიტეტის მერიას - სკრინინგის განცხადების გამოქვეყნების თხოვნით, ხოლო განმცხადებელს - დაზუსტებული ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნით. სამინისტრომ არ აცნობა მერიას განცხადების დაწინაურების გამო წარმოების შეჩერების შესახებ.

5. მეტიც, სამინისტრომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიას არც 2019 წლის 30 სექტემბერს დამატებითი ინფორმაციის შედეგად პროცესის განახლების შესახებ მიანწოდა ინფორმაცია.

6. კომპანიამ წარადგინა არა დაზუსტებული სკრინინგის განცხადება, შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით, როგორც ამას სამინისტრო ითხოვდა (ხარვეზის დადგენის შესახებ წერილით), არამედ პასუხები სამინისტროს შენიშვნებსა და კითხვებზე. თუმცა, სამინისტრომ დოკუმენტი განსახილველად მაინც გამოაქვეყნა.

7. სამინისტრომ არ უზრუნველყო შეცვლილი განსახილველი ანგარიშის კანონით დადგენილი ფორმით გამოქვეყნება. ამგვარად, დაგეგმილი პროექტის უშუალო ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ პირს, ან უბრალოდ დაინტერესებულ მოქალაქეს, თუკი ის რამენაირად შეიტყობდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეტანილი ცვლილებების შესახებ:

1. უნდა მოეძიებინა პირველი განცხადება, რომელიც გარდა იმისა, რომ არასრული იყო მოიცავდა, ასევე, არასწორ ინფორმაციას (როგორც ეს ირკვევა ხარვეზის დადგენის შესახებ სამინისტროს წერილით);
2. უნდა შეედარებინა ეს დოკუმენტი დამატებით წარდგენილ ინფორმაციასთან, გაეკეთებინა დოკუმენტების კომპილაცია - შეევისო და ჩაესწორებინა პირველი განცხადებით არასწორად მიწოდებული ინფორმაცია;
3. მხოლოდ ამის შემდეგ გამოეთქვა თავისი პოზიცია დოკუმენტთან დაკავშირებით.

8. ყურადსაღებია, ასევე, სკრინინგის განცხადების შესახებ საზოგადოების ინფორმირების პროცედურასთან დაკავშირებული შემდეგი ასპექტები:

- ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, რომ სკრინინგის განცხადება სამინისტროში დარეგისტრირდა 2019 წლის 30 აგვისტოს, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადების საინფორმაციო დაფაზე გამოკვრის თხოვნა გაეგზავნა 2019 წლის 11 სექტემბერს და არა სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში, როგორც ამას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლი მოითხოვს.
- თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განცხადების გამოქვეყნების თარიღი ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არ ჩანს; თუმცა, თუკი დავუშვებთ, რომ მერიამ იმავე დღეს (11 სექტემბერს) გამოაქვეყნა განცხადება საინფორმაციო დაფაზე, დაინტერესებულ საზოგადოებას კომენტარებისთვის 16 სექტემბრამდე სულ 3 სამუშაო დღე ჰქონდა, ნაცვლად კოდექსით გათვალისწინებული 7 სამუშაო დღისა.
- როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 2019 წლის 30 სექტემბერს დამატებითი ინფორმაციის შედეგად პროცესის განახლების შესახებ ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე არ გამოქვეყნებულა.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულის დამაგვირგვინებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მხოლოდ **2019 წლის 15 ოქტომბერს** აღმოაჩინა, რომ **2019 წლის 30 აგვისტოს** შპს „აბს“ მიერ წარდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმო უკვე ფუნქციონირებს (მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ახლა იწყებს საწარმოს ფუნქციონირებისათვის გარემოსდაცვითი გადანაწვეტილების მიღების პროცესს) და დოკუმენტაცია განსახილველად გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს გადაუგზავნა.

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული არ არის გამონაკლისი და ამ ტიპის დარღვევები (განსაკუთრებით, საზოგადოების ინფორმირებისა და გადანაწვეტილების მიღების პროცესში ჩართვის თვალსაზრისით) კოდექსის ამოქმედებიდან მეორე წლის მიწურულსაც კი, სისტემატურ ხასიათს ატარებს.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია



დოკუმენტი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“ და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ენერჯეტიკის, წიაღით სარგებლობისა და ტრანსპორტის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებებს.



თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2019